

ქ.ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N29 ოთახზე,
მოქალაქე ლუკა ოქროპილაშვილისათვის საკუთრების უფლების
მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქ.ქუთაისის მერიამი განხილული იქნა ქ.ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N29 ოთახში მცხოვრები ლუკა ოქროპილაშვილის განცხადება /2012 წ. 18.06 Nო-4790/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ოთახზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N29 ოთახი/ საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ.ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N29 ოთახზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ლუკა ოქროპილაშვილს.

2. ქ.ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/ ქ.ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N29 ოთახზე /საერთო ფართობი 14,00 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 14,00 კვ.მ./, მოქალაქე ლუკა ოქროპილაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე